# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

# ო ქ მ ი № 27

**სხდომის ჩატარების დრო:**

**31 იანვარი, 2024 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოცდამეშვიდე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.**

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, თ.ჯუღელი, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, ხ.არველაძე, ლ.შალამბერიძე, ა.კოხრეიძე, ე.არჩაია, ნ.ჩიკვაშვილი.

**სულ: 35 წევრიდან - 26 წევრი.**

**არ ესწრებოდნენ:** საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

**სულ: 9 წევრი.**

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ბატონი დ.ერემეიშვილი, მერის მოადგილე, ბატონი ი.უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი დ.ბენიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, ქალბატონი ნ.კაკაბაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი, ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ქალბატონი ე.ნიკიფი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

ადმინისტრაციული  სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პ.ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი მ.კუბლაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი გ.სანდუხაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

საკრებულოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგის პროექტის წარდგენამდე სხდომაზე გაკეთდა **განცხადებები:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მივესალმები დამსწრე საზოგადოებას, მედიის წარმომადგენლებს, ქალაქის მერს, მოადგილეებს, სამსახურების ხელმძღვანელებს, საკრებულოს დეპუტატებს. ყველას გისურვებთ ნაყოფიერ საქმიანობას. დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს განსახილველი. მათ შორის არის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. განვიხილავთ ბიუჯეტის პროექტში პირველ ცვლილებას, რომელიც ეხება სხვადასხვა ფონდებიდან მიღებულ თანხებს და ასევე მუხლობრივ ცვლილებას. აგრეთვე, დაზუსტდება ამ ეტაპზე ბიუჯეტი. ჩვენ გვექნება დებატების შესაძლებლობა. საკრებულოს აპარატი დაუკავშირდა  საკრებულოს თითოეულ ოპოზიციურ დეპუტატს, ასევე, კომუნიკაცია გვქონდა უმრავლესობის დეპუტატებთან და მერის ანგარიშის მოსმენის შემდეგ რეგლამენტის მიხედვით შესაძლებელი იქნება მოსაზრებების დაფიქსირება. თუ გავყვებით და დავნერგავთ ამ პრაქტიკას საკრებულოში კარგი იქნება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მეც გამოვთქვი სურვილი და რა თქმა უნდა დებატების ტრადიციის დამკვიდრება არის ძალიან კარგი და მისაღები. მე პრობლემა არ მაქვს. როგორც იქნა ქალაქის მერი გამოჩნდა საკრებულოს

სხდომაზე. ბატონო სოსო, თქვენ აქ არავინ არაფერს არ გეტყვით ისეთს, რაც არ გსმენიათ. მინდა გამოვთქვა იმედი, რომ, როდესაც ბატონი სოსო დაასრულებს გამოსვლას, დარჩება, მოისმენს განსხვავებულ აზრს, მათ შორის, საკრებულოს წევრების შეფასებებსაც და ამით უფრო მეტ აზრს შესძენს ამ ანგარიშის წარდგენას. მივესალმები ამ პრაქტიკას, ვაპირებ რეგლამენტით გათვალისწინებული წესების დაცვას და მინდა, რომ ბოლომდე მომისმინოს ქალაქის მერმა.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „დღეს მერი წარსდგება საკრებულოს წინაშე და ეს ერთგვარი პასუხისმგებლობაა. ანგარიშის წარდგენის შემდეგ, როგორც რეგლამენტი ითვალისწინებს, ნებისმიერ კითხვას, რომელიც დაისმება საკრებულოს წევრების მიერ, ჩვენ, უმრავლესობა და ასევე ქალაქის მერი, მზად ვართ გავცეთ პასუხი.“

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** 2024 წლის 31 იანვრის ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებულ იქნა მე-5 საკითხი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის № 13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი იოსებ ხახალეიშვილის წერილობითი მომართვის საფუძველზე, დღის წესრიგის პროექტს დაემატა საკითხი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“; შეიცვალა დღის წესრიგის პროექტის მე-2 საკითხის წარმომდგენი პირი. ბატონი პეტრე ადამაძის ნაცვლად, საკითხის წარმომდგენ პირად განისაზღვრა ბატონი მამუკა კუბლაშვილი; დღის წესრიგის პროექტის საკითხები გადაინომრა თავიდან**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27-ე სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი  დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა
დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ბატონი ივანე ჟორჟოლიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის უფროსი

5. ქალაქ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა
დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

6. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

**აქვე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ აღნიშნა:** „დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მინდა გავაკეთო კომენტარი. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ბატონი გიორგი არ ესწრება საკრებულოს დღევანდელ სხდომას, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ დღის წესრიგის პროექტიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის ცვლილების თაობაზე საკითხის ამოღება უშუალოდ მათ გადაწყვეტილებას უკავშირდება. მე არ ვიცი რა უდევს ამას საფუძვლად და არ მინდა ამ შინაარსში შევიდე, ვინაიდან, ეს მათი ფრაქციის მოცემულობაა, მაგრამ ფრაქციის გადაწყვეტილება კვოტირების ცვლილებასთან დაკავშირებით არის მათი პასუხისმგებლობა და ფრაქციას უნდა წარმოედგინა შესაბამისი გადაწყვეტილება. ვგულისხმობ იმას, რომ ქალბატონმა დარეჯან ფხაკაძემ, თავისი გადაწყვეტილებით, დატოვა ფრაქციის რიგები და შესაბამისად, მას ფრაქციის კვოტით საკრებულოს კომისიებში წარმომადგენლობა, კანონის შესაბამისად, აღარ შეუძლია. მან კომისიებში საქმიანობა უნდა გააგრძელოს როგორც უფრაქციო დეპუტატმა და ამავდროულად, უნდა დააფიქსიროს რომელ კომისიაში აქვს მუშაობის გაგრძელების სურვილი. მე ვფიქრობ, ქალბატონ დარეჯანს ამის სრული უფლება აქვს და ამ ყველაფერს წინ უძღვის ის პროცედურა, რომელიც მოიცავს ფრაქციის გადაწყვეტილების წარმოდგენას იურიდიული კომისიისთვის. არ მინდა შევიდე პოლიტიკურ შინაარსში, მაგრამ რაღაც მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით მაქვს. სხვა შეფასებას აღარ გავაკეთებ, უბრალოდ, მოვუწოდებ ფრაქციას, რომ დაიცვას

პროცედურები, რეგლამენტი და შესაბამისი ორგანული კანონის მოთხოვნები, რომელიც ჩვენ, საკრებულოს, როგორც წარმომადგენლობით ორგანოს, გვავალდებულებს ვიმოქმედოთ კანონის შესაბამისად.

დღევანდელ სხდომაზე საუბარი გვექნება პრივატიზების ობიექტების გეგმასა და ნუსხაზე. თებერვლის თვეში გვიწევს ნორმატიული ფასის ცვლილება მუნიციპალურ ქონებაზე და შესაბამისად, ამაზეც ვიმსჯელებთ. ინტერესი მუნიციპალურ ქონებაზე არსებობს და ამ პროცესს ვერ და არ შევაფერხებთ. პრივატიზაციის გეგმა საკმაოდ მოცულობითი და ამბიციურია. ამის შესაბამისი ახსნაცაა და არგუმენტაციაც. იზრდება ინტერესი ქალაქის საკუთრებების მიმართ ბიზნესის, კერძო  და სხვადასხვა სექტორის მხრიდან.

დღევანდელი სხდომის დღის წესრიგის პროექტში გვაქვს პრეცენდენტული საკითხი, რომელიც ეხება გდგ-ს დამტკიცებას.“

**წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** საკრებულოს 27-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი,  დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე. ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის  მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27-ე  სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის**

**საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი, 2024 წლის 31 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(რედაქციულად გაიმართა დადგენილების პროექტის პირველი და მე-2 მუხლები, ორთავე მუხლი ჩამოყალიბდა ერთ მუხლად და ორ პუნქტად. მასში მიეთითა საკანონმდებლო მაცნეს ვებ გვერდი, №79 დადგენილების გამოქვეყნების თარიღი და სარეგისტრაციო კოდის ნომერი. შესაბამისად, მე-3 მუხლი გადაინომრა მე-2 მუხლად)** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**დადგენილების პროექტთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ძირითადად რეგიონალური ფონდის ხარჯზე გვაქვს ხომ ბიუჯეტის ნაწილი?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „დიახ, როგორც ყოველთვის, წლის დასაწყისში, იანვრის თვეში, გამოდის მთავრობის განკარგულება, რომელშიც ჩამოთვლილია რა ღონისძიებები უნდა დაფინანსდეს მიმდინარე წლის განმავლობაში. სწორედ ამ გამოყოფილი თანხის ასახვა ხდება ბიუჯეტში დღევანდელი ცვლილებით, ხოლო უახლოეს პერიოდში კიდევ ველოდებით 4 მილიონი ლარის გამოყოფას და მის გარდა კიდევ დამატებით იქნება მოზიდული თანხები. ეტაპობრივად ეს ყველა ცვლილება აისახება ბიუჯეტში.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ეს 4 მილიონი რისთვისაა თუ შეგვიძლია ვთქვათ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი **დავით ნიშნიანიძე:** „აღნიშნული თანხით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩის №34-ისა და №223-ის მიმდებარედ, მაისურაძის ქუჩაზე, ნიკეას ქუჩის N36-ის, N38-ისა და №66-ის მიმდებარედ არსებული სკვერების რეაბილიტაცია, ასათიანის ქუჩაზე სკვერის მოწყობა, შერვაშიძის ქუჩაზე საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მშენებლობა, კლდიაშვილის ქუჩის გზის ბოლო მონაკვეთის მშენებლობა, ჩანჩიბაძისა და ქეთევან წამებულის ქუჩების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, ასევე, სპორტსკოლის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „მე მითხრა ბატონმა ანტონ ჩიხლაძემ, მაგრამ მინდა დავაზუსტო, ნიკეას ქუჩაზე, მე - 17 საჯარო სკოლის მიმდებარედ არის დაზიანებული ტერიტორია, რომელიც წვიმების დროს იტბორება, მაინტერესებს ეს ტერიტორია თუ არის შეტანილი ამ ჩამონათვალში?“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ტენდერი დასრულებულია და იმ კვირიდან დაიწყება სამუშაოები. ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გაგცათ პასუხი და ბატონი იუზა გიდასტურებთ.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე. ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა: გ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, ა.კოხრეიძემ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის -

საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **დავით ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის **№87 დადგენილების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №87** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-2 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „საზოგადოებისთვის რომ იყოს ნათელი, იქნებ, გაგვიმარტოთ რაზეა საუბარი და რას ეხება ცვლილება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „2019 წელს, წინა მოწვევის საკრებულომ №112 დადგენილებით შემოიღო მშენებლობის

მოსაკრებელი საანგარიშო ფართობის თითოეულ კვადრატულ მეტრზე და იგი განისაზღვრა 4 ლარით. შევიდა შესაბამისი ცვლილება კანონში და მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრა 10 ლარით, მაგრამ დანართის სახით არსებობს გარდამავალი დებულება, სადაც მოსაკრებლის ოდენობა 2024 წლის პირველი იანვრიდან 2025 წლის პირველ იანვრამდე განისაზღვრა 8 ლარით. 2025 წლის პირველი იანვრიდან ხდება 10 ლარი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი"): „გუშინ, ეს საკითხი გავიარეთ კომისიურ ფორმატში და  როგორც ვიცი, არ ეხება კერძო საცხოვრებელ ფართებს. ჩვენ გვიყურებს მოსახლეობა და მათთვის, რომ უფრო ნათელი იყოს, დავაკონკრეტოთ. მაინტერესებს ეს გაძვირება რამდენად დადებითად აისახება მოსახლეობაზე. ქალაქის ბიუჯეტში შემოვა ფული და ხომ არ დააწვება ტვირთად ჩვენს თანაქალაქელებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „2019 წლის №112 დადგენილებით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები გათავისუფლებულია მოსაკრებლის გადახდისაგან. ამ ნაწილში ცვლილება არ შედის, ეს ეხება სხვა კომერციულ ობიექტებს, ასევე, მრავალბინიან სახლებს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი"): „რა სახის ზრდას მოგვცემს ეს ქალაქის ბიუჯეტში?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „მოსაკრებლიდან შემოსული შემოსავალი ბიუჯეტში შევა და ამას გარდა, ქალაქში მომეტებულად შემოდის ინვესტიციები. ქალაქი არის ინვესტორთა ინტერესის სფეროში მისი განვითარების პერსპექტივებიდან გამომდინარე და მოსაკრებელი მენაშენეს არ

დააწვება ტვირთად. როდესაც ეს მოსაკრებელი იყო შემოღებული, მაშინ სულ სხვა ფასები იყო და დღეს სხვა მოცემულობა გვაქვს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „მოსაკრებლის შესახებ ეს ცვლილება პარლამენტის მიერ არის მიღებული. 2023-2024 წლებში გაიზარდა და 2025 წელსაც არის გათვალისწინებული ზრდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს არ ეხება ინდივიდუალურ შენობებს. პარლამენტმა მიიღო სამშენებლო წესებში ეს ცვლილება და ჩვენ მუნიციპალიტეტებმა გადმოვიტანეთ. ეს არის ადმინისტრაციული რესურსის დატვირთვიდან გამომდინარე და არაერთხელ მოგვისმენია, რომ სამშენებლო ნებართვის გაცემა სხვადასხვა სპეციალობის ადამიანების ჩართულობას მოითხოვს. ამიტომაა, რომ ნებართვის გაცემის ღირებულება არის გაზრდილი, ასეთივე იყო პარლამენტის დასაბუთებაც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ არ ათავისუფლებს ინდივიდუალურ სახლებს მოსაკრებლისგან, ეს მიიღო 2019 წელს საკრებულომ და გაათავისუფლა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი:** „არა, პარლამენტსაც ასე აქვს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ბიზნესს გაეზრდება 1კვ.მ.-ზე 1.5 დოლარით. ეს ბიზნესზე დიდ გავლენას არ მოახდენს, ხოლო ბიუჯეტში კი შემოვა მოსაკრებელი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“): „მე ვიყავი ის ადამიანი, რომელმაც მხარი არ დაუჭირა გაძვირებას, მაგრამ ვხედავ, რომ ქალაქის მიმართ საკმაოდ გაიზარდა ინტერესი და მომრავლდა მშენებლობები. უკვე თვალში საცემიცაა ქალაქში

მშენებლობებისთვის საჭირო დიდი სატვირთო მანქანების სიხშირე. ამას ემატება დასუფთავების თემები, ბეტონისა და სამშენებლო ნარჩენების გატანა და ვთვლი, რომ ის სიკეთე, რომელიც არის მენაშენეებისთვის და მშენებლებისთვის, კარგი იქნება თუ აისახება ქალაქზეც და შემოვა თანხა. ნამდვილად, მუნიციპალიტეტში დასაქმებული რესურსი საკმაოდ გადატვირთულია, შეიძლება დამატებაც გახდეს საჭირო, გზის საფარი დროთა განმავლობაში უფრო ინტენსიურად ზიანდება. თუ დააკვირდებით, სადაც მშენებლობები მიმდინარეობს, იქ საკმაოდ მძიმეწონიანი მანქანები მოძრაობს. იხეიროს ბიზნესმა, მაგრამ აუცილებელია, რომ ქალაქმაც იხეიროს."

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე. ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა: გ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, ა.კოხრეიძემ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **მამუკა კუბლაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისში მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 31 ივლისის №112 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **დადგენილება № 88** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-3 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო**

**მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე. ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის **ივანე ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №89** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-4 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, ბატონმა **ივანე ჟორჟოლიანმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ეს უშუალოდ ეხება კომისიებისა და სამსახურების ანგარიშების მოსმენის გეგმა-გრაფიკს. ეს არის ჩვენი შესაძლებლობა, მათ შორის, ზედამხედველობის განხორციელების პროცესში დაიგეგმოს ქმედებები უშუალოდ, დარგობრივი კომისიების მიერ. ნებისმიერი ასეთი ტიპის წინასწარ დაგეგმილი პროცესი შეიძლება რაღაც ფორმით არ იყოს პოლიტიკურად მკაფიო საზედამხედველო ინსტრუმენტის განხორციელება, თუმცა ვფიქრობ, რომ ჩვენ გვაქვს მაგალითები, როცა რიგგარეშედაც ვისმენდით სამსახურების ანგარიშებს და ამ შესაძლებლობასაც აუცილებლად გამოვიყენებთ. თქვენ იცით, რომ „USAID“-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაში ვმონაწილეობთ, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საკრებულოს საზედამხედველო ინსტრუმენტების გაძლიერება და ამ მხრივ, მინდა მადლობა გადავუხადო ოპოზიციურ დეპუტატებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ პროცესში. ჩვენ გვქონდა ორდღიანი შეხვედრა, რომელზეც განვიხილეთ საკრებულოს არსებული საზედამხედველო ინსტრუმენტები და ასევე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგლამენტში, რომელიც ეხება საკრებულოს, როგორც ინსტიტუციის გაძლიერებას და აქვე მინდა გითხრათ, რომ დოკუმენტი პროექტის სახით უკვე გადაგზავნილია მთავრობის ადმინისტრაციაში. ვფიქრობთ, რომ მათი მხრიდან უნდა მოვისმინოთ მოსაზრებები, მათ შორის, წერილობითი ფორმით. ჩვენ გვაქვს მოსაზრებები, ეს ყველაფერი ერთად შეიკვრება, გაანალიზდება და ამის შემდეგ მივიღებთ

გადაწყვეტილებას თუ რა ფორმით შევიტანოთ ცვლილება საკრებულოს რეგლამენტში. კიდევ მინდა აღვნიშნო თემა, რომელიც უკავშირდება კომისიების დებულებების გადახედვას, უნდა მივაღწიოთ დარგობრივი კომისიების გაძლიერებას. საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას აქვს თავისი სტრატეგია, სამოქმედო გეგმა. ჩვენ ცოტა ხნის წინ დავამტკიცეთ გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმა. ეს არის შეუქცევადი პროცესი, ყველა კომისიას ექნება თავისი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს საკრებულოს სამოქმედო გეგმასთან და მომდევნო მოწვევის საკრებულოს დარჩება როგორც დოკუმენტი. მათაც ექნებათ ალბათ, რაღაც შენიშვნები, მაგრამ ეს იქნება დოკუმენტი, რომლის ირგვლივაც შეეძლებათ მოქმედება თავისი და მათ შორის, პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. მინდა, მადლობა გადავუხადო და წარმატება ვუსურვო კომისიის თავმჯდომარეებს. არის კომისიები, რომლებზეც ჩვენ პრაგმატული მსჯელობებით მივდივართ შედეგებამდე, რომლებიც აისახება საბიუჯეტო პროგრამებში ცვლილებებით და რა თქმა უნდა, აისახება მოქალაქეებზე. საბოლოო ჯამში, რაღაც ფორმით მივდივართ პრობლემის აღმოფხვრამდე და სანდოობამდე.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე. ნ.ჩიკვაშვილი, ა.კოხრეიძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის, **ივანე ჟორჟოლიანის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ **განკარგულება №260** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-5 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2024 წლის 31 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების სათაურსა და პირველ მუხლში ტაბიძის ქუჩის დასახელება ჩაიწერა სრულად (გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა); განკარგულების პრეამბულიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 23-ე პუნქტი; საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 47-ე მუხლები; განკარგულების პრეამბულას დაემატა საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილი და „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი; აღნიშნულიდან გამომდინარე, განკარგულების პროექტის პრეამბულა ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის №260 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-6 მუხლისა და მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე:“**), ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ძალიან კარგი პრეცენდენტია და ჩემი აზრით, მნიშვნელოვან დოკუმენტზე ვმსჯელობთ საკრებულო და იგივე მსჯელობა უნდა იყოს ცენტრალურ ბაღზე. არავინ იცის როდის იქნება პრეზენტაცია და როგორი იქნება ჩვენი ბულვარი. ქუთაისი არის ტურისტული ქალაქი და შესაბამისად, ინფრასტრუქტურაც უნდა იყოს აწყობილი იმაზე, რომ ქალაქი იყოს ტურისტულად მიმზიდველი და მხოლოდ ადრე გაკეთებული აეროპორტის იმედზე არ უნდა ვიყოთ. ჩვენ, ჩამოსულ ტურისტებს უნდა შევთავაზოთ ახალ-ახალი ობიექტები, გასართობი ატრაქციები, განსაკუთრებით იმ ადამიანებს, რომლებიც ქუთაისში რჩებიან რამდენიმე დღით და შემდეგ მიდიან სხვაგან. მათ უნდა გაუჩნდეთ პირველ რიგში ქუთაისში დიდი ხნით დარჩენის და მერე კიდევ დაბრუნების სურვილი. ჩვენ კომისიაზე ვიმსჯელეთ, ვიცი პირველი ეტაპია და ეს არ არის საბოლოო სახე, მაგრამ ვთვლი, რომ ოთხსართულიანი სახლების, როგორი სახისაც არ უნდა იყოს, განაშენიანება ამ ტერიტორიაზე ნიშნავს, რომ მივიღებთ საბჭოთა ტიპის დასახლებას ერთნაირი შენობებით. ასევე ვთვლი, რომ ცალსახად არ უნდა დავაზარალოთ ინვესტორის ინტერესი. შეუძლებელია, ინვესტორი დაინტერესებული იყოს მხოლოდ ოთხსართულიანი შენობის აშენებით. მე ვფიქრობ, რომ მისასალმებელი იქნება ლამაზი ტიპის შენობების კონფიგურაცია, არაა აუცილებელი მარტო საცხოვრებელი, მაგალითად როგორიცაა „ბესტ ვესტერნი“ იმ სიმაღლის შენობების და თუნდაც სასტუმროების აშენების ნებართვები გავცეთ. შესაძლებელია ინვესტორმა თანხმობა მოგვცეს იქ სასტუმროების, რესტორნების, კაფეების მშენებლობაზე. მე ხელთ მაქვს სურათი, სადაც ჩანს რამდენი მრავალსართულიანი შენობაა აშენებული ბაგრატის ტაძრამდე, რომლებზეც ნებართვაა გაცემული და აქვე, აღმაშენებელზეცაა გაცემული ნებართვა მაღალსართულიანი შენობის მშენებლობაზე. მე არ მაქვს საუბარი 10-15 სართულიანი ბინების მშენებლობაზე. თუ ოთხსართულიანი შენობის გვერდით იქნება 5 ან 6 სართულიანი, ეს ბევრად არაფერს შეცვლის. იქვე, ყაზარმების შენობა გვაქვს გამოტანილი გასაყიდად. დამერწმუნეთ, ეს ისეთი ადგილია, რომლის განვითარებაც სტიმულს მოგვცემს, რომ იმ ტერიტორიაზე ძალიან მაგარი ტურისტული უბანი მივიღოთ. მე

დეტალურად გავეცანი წარმოდგენილ დოკუმენტებს და არ მგონია, რომ მიზანშეწონილი იყოს იქ ერთნაირი შენობების აშენება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მ.კუბლაშვილი:** „როგორც მოგახსენეთ ეს არის ინიცირების ნებართვაზე თანხმობა. ვიზუალური ნაწილი წინ გვაქვს. გეთანხმებით, თქვენი ხედვები სწორია, ჩვენც ასე ვფიქრობთ. ეს არის უბრალოდ ვიზუალიზაცია და არა პროექტის შინაარსი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „კარგი იქნება ბატონო სოსო თუ თქვენ მოსაზრებასაც მოვისმენთ. საინტერესოა თუ როგორი ხედვა აქვს ქალაქის მერს ამ უბნის განვითარებასთან დაკავშირებით. უნდა დავამატო, რომ „საკონსერვო“ ქარხნის უზარმაზარი ტერიტორია გაიყიდა, რაც მისასალმებელია ნამდვილად.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „მე გუშინ კომისიის სხდომაზეც ვისაუბრე ამასთან დაკავშირებით. ზოგადად მიდგომა, რომელიც ქალაქის მერიის მხრიდან გამოჩნდა და განსაკუთრებით, არქიტექტურის სამსახურიდან, მას შემდეგ რაც კონცეფცია დავამტკიცეთ, არის სწორი და ზოგადად „გდგ“-ს დამუშავების პროცესი არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტურულ ნაწილს. ასევე, მნიშვნელოვანია ქალაქის ხედების არდაზიანება, როგორიცაა მაგალითად, ბაგრატის ტაძრისა და ხვამლის მთის ხედები. ქალაქის ისტორიული ნაწილის მიჯნაზეა ეს ტერიტორია და აქ არქიტექტურული თვალსაზრისით ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომელიც უზრუნველყოფს ამ შენობების იმგვარ განლაგებას, რომ არ დაზიანდეს უბანი, არ შეფერხდეს ტრანსპორტის მოძრაობა, არ დაიფაროს ხედები და ასე შემდეგ. ამ საკითხს დავეთანხმები და ამავდროულად, ეს არის პრეცენდენტული საკითხი, რომელიც მე ამ 7 წლის განმავლობაში არ მახსოვს, რომ მიეღო საკრებულოს. ალბათ, თქვენც არ გემახსოვრებათ ბატონო გიგა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მესმის თქვენი ბატონო ირაკლი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქუთაისის მოსახლეობას ქალაქის მერის ხედვაც აინტერესებს.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე. ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 5-მა წევრმა: გ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, ა.კოხრეიძემ, ლ.შალამბერიძემ, ე.არჩაიამ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **მამუკა კუბლაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილებების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის **№261 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №39ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთზე განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №261** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-6 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის**

**მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა: გ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, ა.კოხრეიძემ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება № 262** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-7 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და**

**სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ჩვენ ვთვლით, რომ პრივატიზაცია, ზოგადად, არის ძალიან კარგი თემა და მივესალმებით, მაგრამ ხშირად ობიექტი არის შეტანილი ნუსხაში და არ არის გეგმაში. კარგი იქნება თუ დავნერგავთ და ობიექტს, რომელსაც შევიტანთ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში, ავტომატურად ავსახოთ გეგმაში. ჩნდება ბევრი კითხვა და კარგი იქნება თუ ამას გავითვალისწინებთ მომავალში.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „პრივატიზებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ინიციატივა თქვენც გეკუთვნოდათ, კერძოდ, ჭავჭავაძის ქუჩაზე არსებული ობიექტი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „მახსოვს, წინა სხდომაზე მიმტკიცებდით, რომ ბაზრობებზე მოთხოვნა არ არისო და დამერწმუნეთ, ისიც რომ გაგვეყიდა უკეთესი იქნებოდა. უნდა გავასხვისოთ ვალდებულებებით და მიხედოს კერძო სექტორმა, არანაირი საქმე საკრებულოს და მერიას არ უნდა ჰქონდეს დახლების გაიჯარებასთან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ბატონი **იუზა უგულავა:** „ჩვენ წინა შეკრებაზე შევთანხმდით, რომ შეფასება მოხდებოდა სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ. სანამ ობიექტი არ შევა ნუსხაში, შეფასება ვერ გვექნება. შეგვაქვს ნუსხაში, აფასებს სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო და ამის შემდეგ შეგვაქვს გეგმაში. ერთდროულად ეს ვერ მოხერხდება. ჯერ აღმოჩნდება გასაყიდი ობიექტების სიაში, შემდეგ სამხარაული აფასებს საბაზრო ფასით, შეგვაქვს გეგმაში და ამის შემდეგ ვყიდით შეფასებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ასე რომ აეხსნა კომისიის სხდომაზე სამსახურის უფროსს, ამდენს, ამ თემაზე, აღარ ვისაუბრებდი.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 21 წევრი, კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა: 4-მა წევრმა: გ.შუშანიამ, ხ.არველაძემ, ა.კოხრეიძემ, ლ.შალამბერიძემ), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **განკარგულება №263** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-8 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი**

**ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2024 წლის 31 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით **(განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში სიტყვა: „კოლანდა“, შეიცვალა სიტყვით: „კოლონადა“),** ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის

მართვის სამსახურის ხელმძღვანელის, **თინათინ ბერიშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის **№264 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთგანათების სერვისისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №264** ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი შენგელიას** წინადადებით, სხდომაზე გამოცხადდა შესვენება ათი წუთით.

შესვენების დასრულების შემდეგ, გაგრძელდა დღის წესრიგის საკითხების განხილვა.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-9 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი, 2024 წლის 31 იანვრის საკრებულოს ბიუროს სხდომის რეკომენდაციის გათვალისწინებით (**განკარგულების პროექტის პრეამბულიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტი აქვე, ამავე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი შეიცვალა „დ.გ“ ქვეპუნქტით; განკარგულების პროექტის პრეამბულაში ჩაემატა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-2 პუნქტი და მერის წერილობითი მომართვის თარიღი და ნომერი; განკარგულების პროექტის პირველ მუხლში ფრაზა: „სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით“, შეიცვალა სიტყვებით: „უვადო სარგებლობაში“ ისე, როგორც**

**ეს განკარგულების პროექტის სათაურშია)**, ცვლილებით, წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ამ საკითხს მხარს ვუჭერთ, მაგრამ გუშინ კომისიაზე დავსვი ეს საკითხი, ბატონი გია ბასილაძისგან მივიღე პასუხი და ვიცი, რომ ნაწილი გზაშია და იდგმება ნაბიჯები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. საუბარია გაფუჭებულ მანქანებზე, მოძველებულ პარკზე და ორი მანქანა ნამდვილად არ იქნება საკმარისი. წელს უნდა გავაკეთოთ მეტი თანხების მობილიზება, რომ ამ პარკის განახლება მოხდეს დაჩქარებულად. არ ვამბობ ამას ნიშნის მოგებით, ეს პრობლემა ყველას გვაწუხებს. ერთ-ერთი პრიორიტეტი იყოს ამ პრობლემის აღმოფხვრა და ამაში ჩვენც დაგიჭერთ მხარს.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე, თ.ნადირაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით, ცვლილების გათვალისწინებით.

ცვლილება იხილეთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის **№ 265 განკარგულების** პროექტში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება №265** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-10 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკრებულოს წევრების მიერ მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის

მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის, **ვალერიან სილაგაძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 266** ოქმს თან ერთვის)

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის მე-11 საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“**

**2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის სრულად წარმოდგენამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა იოსებ ხახალეიშვილმა საკითხის ირგვლივ გააკეთა მოკლე მიმოხილვა:** „მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, მივესალმები აღმასრულებელი რგოლის წარმომადგენლებს, მივესალმები საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრებს, მასმედიის წარმომადგენლებს, ჩვენ საზოგადოებას, რომელიც დღეს თვალყურს ადევნებს საკრებულოს სხდომის მიმდინარეობას. ჩემთვის დიდი პატივია საკრებულოს წინაშე ჩემ გუნდთან ერთად წარმოვადგინო ის შედეგები, რომელსაც 2023 წლის განმავლობაში მიაღწია ჩვენმა გუნდმა და ვისაუბრო იმ გამოწვევებზე, რომელიც გვაქვს მუნიციპალიტეტში, ქალაქში. დარწმუნებული ვარ ასეთი ურთიერთობა საკრებულოსა და მერიას შორის არის ჩვენი გუნდის შეთანხმებულობის გამოძახილი. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მე ვერ ვესწრებოდი საკრებულოს სხდომას, ეს იყო შეთანხმებული საკრებულოსთან, ყველა საკითხი მქონდა გავლილი და რა თქმა უნდა ეს იყო მივლინებებიდან და საქმიდან გამომდინარე. ვიდრე ჩვენი საქმიანობის დეტალურ განხილვას დავიწყებ, მანამ მინდა გავაკეთო განვლილი წლის მოკლე შეჯამება. ალბათ ყველანი დამეთანხმებით, რომ 2023 წლის ქვეყნის მთავარი მიღწევა არის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება. ეს არის ჩვენი გუნდის, „ქართული ოცნების“, დამსახურება, იმ სწორი ნაბიჯების დამსახურება, რომელიც გადადგმულ იქნა ამ წლების განმავლობაში. ყველა დამეთანხმებით, რომ ჩვენ ღირსეული და დამსახურებული შედეგი მივიღეთ, რასაც ქართველი ერი იმსახურებს. ეს არის ჩვენი ისტორიული მიღწევა და

გამარჯვება, მაგრამ წინ გვაქვს ძალიან ბევრი საქმე და მჯერა, რომ ჩვენი გუნდი იმ სანუკვარ ოცნებამდე მიიყვანს ჩვენს ქვეყანას, რასაც ევროკავშირის წევრობა ჰქვია. გასაკეთებელი ძალიან ბევრია და ჩვენ ადგილობრივ  და ცენტრალურ დონეზე ვიქნებით ერთიანი ამ შედეგის მიღწევაში. რა თქმა უნდა, ქალაქშიც გვქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები. ჩვენი ქალაქის უმნიშვნელოვანესი წარმატება გახლდათ იუნესკოს სტატუსის მინიჭება ლიტერატურის დარგში და ჩვენმა ქალაქმა რამდენიმე, ათწლიანი დაშორების შემდეგ თავის, ყველაზე საერთაშორისო კულტურულ მხატვრობასთან აღადგინა ურთიერთობები. მოგეხსენებათ, რომ ქუთაისი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანები წლებიდან იყო იუნესკოს ქალაქი და ეს სტატუსი დაკარგული იქნა არასწორი მენეჯმენტიდან გამომდინარე წინა ხელისუფლების მიერ. ჩვენ შევძელით და ჩვენ ქალაქს დავუბრუნეთ ეს სტატუსი. ჩვენ ეს გავაკეთეთ ერთობლივი ძალებით და ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა ყველას გადავუხადო მადლობა ვინც იყო ჩართული ამ საქმიანობაში. ასევე, მინდა გამოვყო სპორტული კუთხით სხვადასხვა მნიშვნელოვანი თემები და მათ შორის პირველია ევროპის ჩემპიონატი 21 წლამდე ფეხბურთელთა შორის. არ არის ჩვენი ქალაქი განებივრებული ასეთი დონის შეჯიბრებებით. მინდა გითხრათ, რომ ქალაქმა მაღალ დონეზე უმასპინძლა ამ ჩემპიონატს და ამისათვის ერთი თვის წინ ფედერაციიდან მუნიციპალიტეტს გადმოეცა ჯილდო განსაკუთრებული და გამორჩეული მასპინძლობისთვის. მადლობა ფედერაციის მესვეურებს, სამინისტროს და ცენტრალურ ხელისუფლებას. ის სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ჩვენ დღესდღეობით ქალაქში გვაქვს, სწორედ მათი დამსახურებაა. სრულიად რეაბილიტირებული „შენგელია არენა“, ოლიმპიური საცურაო აუზი, ფეხბურთის FIFA-სა და UEFA-ს მიერ დაფინანსებული ფეხბურთის აკადემია.  დარწმუნებული ვარ ასეთი სპორტული ინფრასტრუქტურა საშუალებას მიგვცემს არა ერთ საერთაშორისო ასპარეზობას ვუმასპინძლოთ. მინდა ვთქვა სპორტის სტრატეგიასთან დაკავშირებით. ქუთაისი არის ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი ქალაქი, რომელსაც აქვს სპორტის განვითარების სტრატეგია. ეს დოკუმენტი ერთის მხრივ სპორტის და მეორეს მხრივ ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას მოიცავს. მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიას, რომლის უშუალო მხარდაჭერით მოვახერხეთ

აღნიშნული სტრატეგიის შემუშავება. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ 2023 წლის ერთერთ წარმატებულ პროექტად იქნა შეფასებული ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის მიერ. ეს არის ზოგადად ის მიღწევები, რომლებიც გვქონდა ქალაქში და რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ მერიის გუნდის, ეს არის საკრებულოს, გუბერნიის, ჩვენი მაჟორიტარის ერთობლივი მუშაობის შედეგი. ეს, ზოგადად, მიმოხილვასთან დაკავშირებით."

ამის შემდეგ, ბატონმა **იოსებ ხახალეიშვილმა** წარმოადგინა ანგარიში.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ" ოქმს თან ერთვის)

**ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ეს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ ბატონო სოსო. პირველი შეეხება სანიაღვრე სისტემას, რომლისთვისაც გამოყოფილია 1 მილიონი ლარი. მოგეხსენებათ, როდესაც იწყება წვიმები რა მდგომარეობაა ქალაქში. არ მაქვს საუბარი მხოლოდ ქუთაისზე, ეს ხდება საქართველოს მასშტაბით. ვფიქრობ, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად 1 მილიონი არ იქნება საკმარისი. გარე განათებასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა. აქ მსხდომების ნახევარზე მეტი ვართ მძღოლები და ვიცით, რომ ქალაქში არსებული განათება ქუჩას და ასფალტის საფარს კი არა, ანათებს ზემოთ. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი, ჩემზე მეტი გამოცდილი მძღოლები აფიქსირებენ, რომ ეს განათება არის შესაცვლელი. მე არ ვარ ამ საკითხში კომპეტენტური და ვინც იცის, იქნებ გაარკვიოთ. ხშირია შემთხვევა, როდესაც გაკეთებული ქუჩის გადათხრა ხდება დაზიანებული კაბელის ან სხვა მიზეზით და შემდეგ ამ ადგილს ტოვებენ შეუკეთებელს. ეს საკითხიც მისახედია. რაც შეეხება განათლებას. ამ თემაზე თქვენ ბევრი ისაუბრეთ და მეც ვთვლი, რომ მომავალი თაობის  განათლებისა და განვითარებისათვის უნდა გამოიყოს დიდი თანხა. მე მაქვს ხშირი შემხებლობა მოსწავლეებთან და უნდა აღვნიშნო, რომ ბავშვებს უჭირთ წაკითხულიდან შინაარსის გამოტანა. გამოყოფილი თანხით პედაგოგებმა უნდა აიმაღლონ კვალიფიკაცია და ამ კუთხით იმუშაონ ბავშვებთან. აქვე შევეხები მარტოხელა დედებისა და ბენეფიციარების

თემას. ეს არის ყველაზე მტკივნეული თემა ჩემთვის. მაგალითად, მაინტერესებს ნიკეას ქუჩაზე, როდესაც ლტოლვილს მიღებული აქვს ბინა, რატომ რჩება თავშესაფარში. მის მიერ გამოთავისუფლებულ ბინაში ხომ სხვა თავშესაფრის მაძიებელი შევა? ვესაუბრე ბატონ დავითს, ძალიან დიდი ყურადღება მოგვაქცია, მითხრა, რომ არ იყო საქმის კურსში და აუცილებლად გაითვალისწინებს. მინდა გთხოვოთ, იქნებ მოხერხდეს რენტგენის აპარატის შეძენა მიუსაფარი ძაღლებისათვის. ძალიან გთხოვთ, ვისაც ეხება ეს თემა, ბატონი ზაზაც ჩართულია ამ საკითხში და იქნებ მოგვარდეს ეს პრობლემა. ბენეფიციარებზე აღარაფერს ვიტყვი, ვფიქრობ, გამოყოფილი თანხა ძალიან ცოტაა, აქაც უნდა შევიტანოთ ცვლილებები და გამოვყოთ მეტი თანხა. ვფიქრობ, რომ ჩვენ ერთმანეთში კი არ უნდა ვიკამათოთ, პირიქით, უნდა გვქონდეს კონსტრუქციული საუბრები, რომ საქმე წავიდეს წინ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 54-ე მუხლით საკრებულოს სხდომისათვის განსზღვრულის დროის ამოწურვის გამო, **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია** შემოვიდა წინადადებით, საკრებულოს სხდომის ერთი საათით გაგრძელების შესახებ.

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** აღნიშნულ წინადადებასთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27-ე სხდომა გაგრძელდეს ერთი საათით.

ამის შემდეგ, გაგრძელდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის თაობაზე საკრებულოს წევრთა გამოსვლები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ხათუნა არველაძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო სოსო, თქვენ ძალიან ბევრი ისაუბრეთ ახალგაზრდებთან დაკავშირებით, მაგრამ დღევანდელი

მოცემულობით, ჩვენი ქალაქი მოსახლეობის რაოდენობით არის მეოთხე ადგილზე და ამას დამატებული ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს დასაქმებასთან დაკავშირებით. გვყავს ძალიან კარგი, ნიჭიერი ახალგაზრდები და როცა ისინი ხვალ, ზეგ დაამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს, სამწუხაროდ, არ ხვდებათ სამუშაო ადგილები. მაინტერესებს რა კეთდება იმისათვის, რომ ქალაქში შეიქმნეს სამუშაო ადგილები ახალგაზრდებისათვის და მათ არ მიიღონ სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილება. როგორც თქვენ ერთ-ერთ შეხვედრაზე ბრძანეთ, ეს ნამდვილად არ არის ევროკავშირის წევრობისა და ევროპის გზის გახსნის დამსახურება. მე არაერთხელ დავსვი საკითხი საკრებულოს სხდომაზე და საკრებულოს თავმჯდომარემაც იმავე დღეს გთხოვათ სკოლებისა და ბაღების მიმდებარედ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ღონისძიებების მიღება. მოვიყვან მე-13 საჯარო სკოლის მაგალითს. ამ სკოლასთან არის დაახლოებით, 5 შემავალი და გამავალი გზა. დღეის მდგომარეობით, იქ არ არის არანაირი უსაფრთხოების ზომები დაცული. საყურადღებოა, რათა ბავშვების გადაადგილება იყოს უსაფრთხო. ასევე, უნდა ვისაუბრო ბაღებთან დაკავშირებით. ძალიან ბევრ ბაღს დღეის მდგომარეობით გაუჭირდება ავტორიზაციის გავლა. მინდა გკითხოთ მაუდის ბაღთან დაკავშირებით. ამ წლების განმავლობაში იმდენი თანხაა ბიუჯეტიდან გადახდილი ქირაში, რომ ამ თანხით მარტივად იყო შესაძლებელი აშენებულიყო მაღალი სტანდარტების ახალი საბავშვო ბაღი."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **კობა გურული** (პოლიტიკური პარტია „სტრატეგია აღმაშენებელი"): „ჩვენ მოვისმინეთ მიღწევების შესახებ და ეს ძალიან კარგია, მაგრამ მოსახლეობას აინტერესებს ქალაქში არსებული პრობლემებიც და რამდენიმე შეკითხვა მინდა დაგისვათ. ჩვენ ვიცით, რომ გავხდით ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა და ეს მისასალმებელია. მინდა მოვისმინო თქვენეული კონცეფცია, ამ ქალაქის თქვენეულ ჭრილში ხედვა. როგორ წარადგენდით ტურისტების წინაშე უძველეს და ახლა უკვე თანამედროვე ევროპულ ქალაქს. რა პროექტებს და განვითარების რა გეგმებს მოიაზრებდით და რა ინიციატივებს შემოიტანდით როგორც ქალაქის მერი. ასევე მაქვს მეორე შეკითხვა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი და სტატისტიკის ბიუროც ამას ადასტურებს, შემცირდა ქალაქში მოსახლეობის

რაოდენობა. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომ ეს პროცესი შეჩერდეს, დასტაბილურდეს და არ წავიდეს ზრდისკენ. ასევე, მაინტერესებს რა გეგმები არსებობს საპარლამენტო ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ნაგავსაყრელთან დაკავშირებით რა გეგმები გაქვთ და ბოლოს, როგორც ვიცი, მომავალში, ქალაქის ცენტრში იგეგმება საათობრივი პარკირება. მისასალმებელია ნამდვილად იმ პრობლემიდან გამომდინარე რაც გვაქვს, მაგრამ ამის პარალელურად შევძლებთ თუ არა აღმოვფხვრათ ე.წ. „სტაიანშიკების“ თემა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „დიდი მადლობა ბატონო სოსო ძალიან კარგი ანგარიშისთვის. დავეთანხმები ქალბატონ ანას, რომ არის პრობლემები, მაგრამ ბევრი რამ არის გაკეთებული და ამის დაუნახაობა უმადურობაა. მე მინდა გკითხოთ მე-14 ბაღთან დაკავშირებით, ასევე, მაინტერესებს რა გადაწყვეტილება მიიღეთ მადლიერების სახლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. დასუფთავების 2 ნაგავმზიდზე იყო საუბარი, მაინტერესებს რამდენ ხანში ექნება ქალაქს ეს ნაგავმზიდები. დასუფთავების სამსახური არის ყველაზე მნიშვნელოვანი სამსახური და ქალაქზე აისახება მისი მუშაობის ხარისხი, ამიტომ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ მათ ხელი ტექნიკით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“): „მართლაც ინფორმაციული იყო დღევანდელი შეხვედრა. ქალბატონმა ანამ ახსენა გარე განათება და ეს მართლაც ყველა მძღოლის ჩივილია. მეც არ მიყვარს ღამით გასვლა, ვინაიდან განათება მართლაც არასაკმარისია. ჩემი აზრით, ის ხეები, რომლებიც გატოტვილია განათების ქვემოთ, ხელს უშლის. ასევე, არის პრობლემა ჭის თავებთან დაკავშირებით. ეს ისეთი თემაა, რომელიც აწუხებს ყველა მძღოლს. ნინოშვილის ქუჩის დასაწყისში ძალიან დიდი ორმოა. ქუჩის რეაბილიტაცია ჩატარებულია, ხელშეკრულებაში ჩადებულიც იქნება ალბათ, რომ 1-2 წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში პასუხი უნდა აგოს სამუშაოების შემსრულებელმა. მხოლოდ ბეტონით თუ არის გაკეთებული, აუცილებლად ჩავარდება, ალბათ, რკინის კონსტრუქციით უნდა გაკეთდეს. რა და როგორ უნდა გაკეთდეს არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, ბევრ ადგილზეა ჩავარდნილი. ასევე, საკმაოდ პრობლემურია

ტრანსპორტის საკითხი. არის დარჩენილი უბნები, რომლებშიც ბოლომდე ვერ შედის ტრანსპორტი ან მოძრაობს მხოლოდ ერთი მარშრუტი და თუ დაზიანდა, შეკეთებას რამდენიმე დღე სჭირდება. თუ არის დათვლილი რამდენი მანქანა გვჭირდება, რომ ქალაქში სრულად აღმოიფხვრას ეს პრობლემა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „შემექმნა წარმოდგენა, რომ ქუთაისის მერის კი არა, პარიზის მერის ანგარიშს ვისმენდი, ქალაქზე, სადაც არ არსებობს პრობლემები. იმ ქალაქის მერის, რომლის მმართველობის დროსაც ქალაქი გადავიდა მეოთხე ადგილზე მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ქალაქი, რომელიც საპარლამენტო სტატუსის წართმევის გამო, იქცა ფუნქციადაკარგულ ქალაქად, საიდანაც ჩვენი თანამოქალაქენი და განსაკუთრებით, ახალგაზრდები გარბიან. უამრავი ადამიანი გარბის იმიტომ, რომ ოჯახები გამოკვებონ და გაჭირვებას გაექცნენ. თურმე, 50-ით იმიტომ შემცირდა უფასო სასადილოში ადამიანების რაოდენობა, რომ გაჭირვებული ადამიანების რაოდენობა შემცირდა. ჩვენ აქ ვსაუბრობთ იმაზე, რომ 6500 ლარიანი ხელფასი ცოტაა და არ მოგვისმენია წუხილი იმაზე, რომ გაჭირვებულების გამოკვებაზე თვეში 65 ლარი იხარჯება. მადლიერების სახლის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ეს მენიუ საკმარისია და  დიეტურთან არის მიახლოებული. მოდით და ჩინოვნიკები დავსვათ დიეტურთან მიახლოებულ კვებაზე რასაც ამ ხალხს ვაჭმევთ. აქ უნდა ყოფილიყო საუბარი გამოწვევებზე, იმ პრობლემებზე, რომელიც დგას ჩვენი ქალაქის წინაშე. ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ მარტო სურათის გადაღება არ არის გახსნა. აი, მაგალითად, კალათბურთის დარბაზი, რომელიც არის უნივერსიტეტთან. ფეხითაც, რომ გადაგეზომათ, მიხვდებოდით, რომ ის არ არის სტანდარტული სიგრძის და იქ ვერ ჩავატარებთ ოფიციალურ თამაშს. ახალი ფარებიც დამტვრეული და გაუბედურებულია, ვინაიდან, თავის დროზე უხარისხო იყო შეძენილი. ჩვენ ვამაყობთ და მართლაც ძალიან კარგი ოლიმპიური აუზი გვაქვს, მაგრამ მერიამ ვერ გამონახა სახსრები და ქალაქის წყალბურთის ასაკობრივი ნაკრების ბავშვები იხდიან 150 ლარს. ეს იმას ნიშნავს, რომ წყალბურთში ვარჯიში, დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისთვის, წარმოუდგენელია. მე მინდა ასევე გითხრათ გაუბედურებულ კულტურულ

მემკვიდრეობაზე, „ოქროს ჩარდახზე“. მუშაობენ ექსპერტები, მაგრამ არავინ იცის როგორ სახეს მიიღებს. ვნახე ფოტოები და შიგ ოთახი ბუხრიან საქეიფო ადგილს უფრო ჰგავს ვიდრე იმას, რა სახითაც მოვიდა ამდენი წლების განმავლობაში ჩვენამდე. არაფერს ვამბობ ორი წლის წინ თქვენ მიერ მოცემულ დაპირებაზე თეთრი ხიდის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რომელიც პირადად მე მომეცით. რამდენი წელია ქილიკის საგანია ეს ხიდი და ერთხელ და სამუდამოდ დავაყენოთ საშველი, ეს ხომ ყველა ჩვენგანის პრობლემაა. ბულვართან დაკავშირებით ვიტყვი, რომ არ შეიძლება ქალაქის მერი, საკრებულო არ იყოს ჩართული პროცესში და არ გვქონდეს წარმოდგენა როგორი იქნება ეს ბაღი ვიზუალურად. არაფერს ვამბობ პირველი სკოლის წინ წამოჭიმულ შენობაზე. აქ საუბარი იყო, რომ ოთხ სართულზე მეტი შენობა, რომელიც რამდენიმე კილომეტრით იქნება დაშორებული, ჩამოეფარება ბაგრატის ტაძარს და ეს შენობა, რომელიც პირველ სკოლაზე მაღალია და ჩამოეფარება მას, არ არის კულტურული მემკვიდრეობის დამახინჯება? გაფუჭებულს ვინ გამოასწორებს, როდესაც პირველი სკოლის შენობას რაღაც გაურკვეველი ბეტონის ურჩხული ჩამოეფარება. კარგია, რომ აღდგება ნახატი, რომელიც უცხოეთიდან შემოსულმა პირმა დააზიანა, მაგრამ სამწუხაროდ, მას ვერ დავსჯით. საბოლოო ჯამში, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვისმენდით იმ მერის გამოსვლას, რომელიც აცხადებს, რომ საკრებულოს სხდომებს, მიუხედავად სურვილისა, ვერ ესწრებოდა იმის გამო, რომ არ ჰქონდა ამის საშუალება. უნდა შემოდიოდეთ ბატონო სოსო, საკრებულოს სხდომაზე. მე მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. თქვენ აღარ ხართ თემურ შაშიაშვილის თანაშემწე. თქვენი გამოსვლა ჰგავდა თემურ შაშიაშვილის გაფართოებულ სხდომაზე მისი თანაშემწის მოხსენებას. ჩემი აზრით, ქალაქის მერი, რომელიც თვლის, რომ მას უშიშროების უფროსი ხელს უშლის ქალაქის მართვაში, უკომპლექტებს კადრებს და იმის ნაცვლად, რომ ამის შესახებ თქვას, მიდის  თემურ შაშიაშვილთან და მასთან წუწუნებს, რათა მან ჩაწეროს „ლაივი“ და დეკემბრის ბოლოს დააანონსოს, რომ კამერების თანხლებით მივა ბატონი სოსოს დასაცავად. ჩემი აზრით, ასეთი მერი არ უნდა ჰყავდეს ქუთაისს. თქვენი წინამორბედი, რომელსაც ჰყავდა გუნდი და მხარდამჭერები, რომლებიც საკმაოდ ბევრი დარჩა დღესაც, თქვენგან განსხვავებით, ვერ მიხვდა და ვერ დაწერა ეს განცხადება. გთავაზობთ ნუ

გაიმეორებთ იგივე შეცდომას და ერთხელ მაინც ცხოვრებაში, წადით თქვენი კურატორების წინააღმდეგ, დაწერეთ განცხადება, თორემ შეიძლება ისე გაგიშვან სატელეფონო ზარით, რომ გიორგი ჭიღვარიასგან განსხვავებით, პოსტის გამოქვეყნების უფლებაც არ მოგცენ. ეს არის ჩემი ბოლო რჩევა, რომელიც შემიძლია მოგცეთ გულწრფელად თუ გინდათ, რომ ამ ქალაქში იაროთ ღირსეულად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი **დიმიტრი მხეიძე:** „ბატონო სოსო, რეგიონებს რაც ეხება, ამასთან დაკავშირებით რა შეგიძლიათ გვითხრათ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „არ შემიძლია პასუხი არ გავცე ბატონ გიგა შუშანიას. თურმე ის გვირჩევს ვინ უნდა დაწეროს განცხადება, ვინ აირჩიოს ქალაქმა, ვინ წავიდეს და ვინ მოვიდეს. რას აკეთებდით თქვენ ქალაქში იმაზე უკეთესს, რასაც აკეთებს ჩვენი გუნდი. არ უთქვამს ბატონ სოსოს, რომ ქალაქში არ არის პრობლემები. მან გვითხრა რა გაკეთდა. მაინტერესებს რა არ იყო მართალი ამ ანგარიშში, რამაც გამოიწვია თქვენი აღშფოთება. რა არ არის გაკეთებული მოსმენილიდან? თქვენ შეეხეთ ემიგრანტებს. თქვენ დროს ხალხმა ბინები გაყიდა და ისე წავიდა ემიგრაციაში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ბატონი **გრიგოლ შუშანია** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"): „ჩვენს შორის განსხვავება არის ის, რომ თქვენ ყველაფერს უყურებთ ვარდისფერი სათვალით. ვერ ან არ ხედავთ რა ხდება. თქვენი თქმით, ამ ქალაქში ყველაფერი კარგადაა. დაანებეთ მოსახლეობის რაოდენობას თავი, საშუალო ხელფასების მიხედვით, შარშან ვიყავით 35-ე მუნიციპალიტეტი საქართველოში. გამოწვევებზე უნდა ვსაუბრობდეთ. როგორ ვუშველოთ ქალაქს, რა ფუნქციები შევძინოთ. რაც შეეხება 21 წლამდე ჩემპიონატს, ქალაქის მერი რომ წუწუნებდა მე ვინ მეკითხება 21 წლამდე ჩემპიონატის ჩატარებასო, ფოთმა ვერ მოასწრო და ამიტომ გადმოიტანეს საბედნიეროდ, ქუთაისში. არ შეიძლება ასეთი მიდგომები, ამაზე ჩვენ ვერასდროს შევთანხმდებით. ჩვენ სხვანაირად ვუყურებთ ამას. გადით და ჰკითხეთ ქუთაისლებს რა ხდება ქალაქში."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ელეონორა არჩაია** (პოლიტიკური პარტია „საქართველოსათვის“): „ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მაინტერესებს რა ხდება.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „ცოტა ძნელია ბატონ გიგას პროვოკაციულ გამოსვლას არ აჰყვე, მაგრამ მაქსიმალურად შევეცდები ყველა დასმულ კითხვას გავცე პასუხი. ვინც ისმენდა ჩემ გამოსვლას, ვიტყვი, რომ არც პრობლემები დაკლებულა. ამიტომ, აქედან გამომდინარე, იმას, რომ არ იყო საუბარი კრიტიკული და გამოწვევებზე, არ ვეთანხმები და ვერ მივიღებ. რაც შეეხება ქალბატონ ანას დასმულ კითხვას სანიაღვრეებთან დაკავშირებით. ჩვენ ამ სანიაღვრეებს ვაკეთებდით მხოლოდ სპეც. სერვისების საშუალებით. ერთი მილიონი ლარი, რომელიც თქვენ აღნიშნეთ, არის გამოყოფილი იმისათვის, რომ კიდევ დამატებით მოხდეს სანიაღვრეს რეაბილიტაცია. ანუ მარტო მილიონი არ გვაქვს გამოყოფილი, რაც იყო იმას დაემატა მილიონი ლარი. საჭიროების შემთხვევაში კიდევ შევეცდებით დავამატოთ.

რაც შეეხება განათებას, განათება არის სტანდარტული და მაშინ, როდესაც ჩვენ მოვახდინეთ ჭადრების გადაბელვა, ერთი ამბავი ატყდა. ჩვენ იმიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, რომ რუსთაველის გამზირი ტოტების გამო იყო ჩაბნელებული. ასე უნდა მოხდეს სხვა ადგილებშიც, მაგრამ არის შეზღუდვებიც, რადგან ზოგიერთი ხის გადაბელვა მის გახმობას იწვევს. აქედან გამომდინარე, გამოსავალი არის იმაში, რომ ან შევუცვალოთ ლოკაცია სანათებს ან შევცვალოთ არსებული ნათება უფრო ძლიერით. ამ ეტაპზე ზუსტად ვერ გეტყვით რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, მოვიკითხავ და შევეცდებით აღმოვფხვრათ პრობლემა, რადგან მართლაც ბევრს უქმნის პრობლემას.

განათლებასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ სკოლები არ არის ჩვენი იურისდიქციის ქვეშ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს ჩვენ გვექნება სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც გვექნება ჯილდო ოქროს მედლებისა და 100%-იანი გრანტის მფლობელებისთვის. დამეთანხმებით, ეს იქნება მნიშვნელოვანი წახალისება და ინვესტიცია ახალგაზრდებში. რაც შეეხება პედაგოგების თემას, ეს არის სრულად განათლების სამინისტროს კომპეტენცია და დარწმუნებული ვარ, ისინი მიხედავენ ყველა საკითხს გადამზადება იქნება ეს თუ ტრეინინგი.

გამოსახლებასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ როდესაც ადამიანს უფიქსირდება ქონება და ის მაინც არ ტოვებს საერთო საცხოვრებელს, ჩვენი წარმომადგენელი მიდის ადგილზე, მაგრამ ამას ყოველთვის მოჰყვება საშინელი ორომტრიალი და აურზაური. ოთახში აქვთ დატოვებული გარკვეული ნივთები, რომლებსაც ვერ ვეხებით. თქვენც იცით რა მოჰყვება გამოსახლებას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): „ბატონო სოსო, მე ვარ წინააღმდეგი, რომ ადამიანი დარჩეს გარეთ წვიმაში და თოვლში, მაგრამ მათ ხომ აქვთ სახლები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი**: „ნიკეას ქუჩა თქვენი სამაჟორიტაროა ქალბატონო ანა და იქნებ დაგვეხმაროთ.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „გეთანხმებით, ამ ნაწილში რაც არის მუნიციპალური პასუხისმგებლობა, ჩვენ უნდა ავიღოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „ცხოველების პრობლემა ნამდვილად არსებობს და უკვე რამდენი წელია მიდის საუბარი მუნიციპალურ ცხოველთა თავშესაფარზე, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ არაფერი გადაწყვეტილა.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ქალბატონო ანა, რენტგენთან დაკავშირებით პირადად შემიძლია ჩართვა და თუ რამე შესაძლებლობა გაჩნდა, პორტატული რენტგენი ექნება ძაღლების თავშესაფარს. მე ამ საკითხის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული, პირველად მესმის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „ჩვენმა კომისიამ აიღო ეს ვალდებულება, შევქმნით გარკვეულ ჯგუფს და ჩვენ ვაჩვენებთ მაგალითს ქუთაისის სახელით. შესაბამისად, თქვენც იქნებით ჩართული ამ ჯგუფში.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „რაც შეეხება ახალგაზრდების დასაქმებას და ქუთაისის მოსახლეობის, რაოდენობით მე-4

ადგილზე გადასვლას. განათლების თემიდან გამომდინარე, ალბათ, დამეთანხმებით, რომ მთელი საქართველოდან მოდიან ახლგაზრდები ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში სასწავლებლად. ასევე, გვაქვს აკ. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი და ქუთაისის უნივერსიტეტი. რა თქმა უნდა, ხელს შევუწყობთ ახალგაზრდების დასაქმებას. ჩვენ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმების სურვილი, ვთავაზობთ სტაჟირებას. ახალგაზრდების დასაქმება არ არის მარტივი საკითხი, ამას სჭირდება პროფესიული მიდგომა, როგორც სამუშაო ადგილების შექმნის კუთხით, ასევე, გარემოს შექმნით, რათა უფრო მიმზიდველი იქნეს მათთვის.

რაც შეეხება მოსახლეობის რაოდენობით მე-4 ადგილზე გადასვლას. მინდა გითხრათ, რომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა იქნებოდა თუ გახსნილი საზღვრების თემა, ხალხის მიმოსვლას ვერავინ შეაკავებს და განსაზღვრავს. ეს არ არის მხოლოდ ქუთაისის პრობლემა. მიგრაციის პროცესი არის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. როცა ვსაუბრობთ მე-4 ადგილზე გადასვლაზე, შემცირდა როგორც ქუთაისის, ასევე, სხვა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობაც. თუ გაიზარდა, გაიზარდა იმ ტექნიკური საშუალებებით, რასაც ჰქვია მიმდებარე ტერიტორიების შემოერთება. ნახეთ ბათუმისა და რუსთავის საზღვრები და შემდეგ ვისაუბროთ ქუთაისზე. ქუთაისი როგორც იყო ორიგინალში, ისეა დღესაც. თუ ჩვენ გვინდა, რომ მეზობელი მუნიციპალიტეტების ხარჯზე გავიზარდოთ, კი ბატონო. თქვენ კარგად იცით ბინათმშენებლობის როგორი ბუმია დღეს ქალაქში. ვინ ყიდულობს ჩვენს ქალაქში ბინებს? წასული ადამიანები. გასაგებია, რომ იგივე სამუშაოზე ევროპაში წასული ადამიანი მიიღებს სამჯერ მეტ ანაზღაურებას, ვინ იტყვის ამაზე უარს. რა ბერკეტია ამისათვის, რომ არ წავიდეს ადამიანი, ვინაა სამჯერ მეტი ხელფასის მიმცემი ამ ქალაქში ან საქართველოში? თქვენ თვლით, რომ ამ ადამიანებს ხელი უნდა შევუშალოთ წასვლაში, რომ რაიმე გამოცდილება ან დოვლათი დააგროვონ და დაბრუნდნენ?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)**:** „თქვენ დაგვპირდით სხვა რამეს, აშენებას და ამიტომ ვართ თქვენზე გაბრაზებული.“

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია:** „ციფრებით ვისაუბროთ. ყველაფერი არის შედარებითი და სტატისტიკა, ციფრები შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს. მათ შორის, ეკონომიკური მაჩვენებლებიც. ამაზე ბოლოდროინდელი შედეგები, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები მეტყველებს. კარგია თუ გავეცნობით ამ ყველაფერს. სოციალურ პროგრამებზე რამდენი იხარჯება ისაუბრა უკვე ქალაქის მერმა. რამდენს ვხარჯავთ თუნდაც მერიის სარეზერვო ფონდიდან კონკრეტული ადამიანის მხარდაჭერაზე, ამაზეც ვისაუბრეთ. ხელფასი რომ უნდა იყოს მაღალი გეთანხმებით."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „რაც შეეხება სკოლებთან და ბაღებთან საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, მანამდეც გვქონდა დაწყებული და რაც გაჟღერდა თქვენი ინიციატივა, შემდეგაც გავაგრძელეთ. სანამ მე-13 სკოლასთან მიხვალთ, მანამ არის 25-ე სკოლა. მოვაწესრიგეთ მისი მოაჯირი, მიმდებარე ტერიტორია, უსაფრთხოა ბავშვებისთვის გზაზე გადასვლა. ასეთ პრობლემებს ვაწესრიგებთ და ამის საშუალებას კანონი გვაძლევს. მართალია, ეს იწვევს საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, მაგრამ მთავარია ბავშვების უსაფრთხოება. მზად ვართ დავამონტაჟოთ ე.წ. „მწოლიარე პოლიციელები", მოაჯირები.

მაუდის ბაღთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ სამწუხაროდ, ამ ბაღს აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, როგორ და რატომ? ეს არავინ იცის. ამიტომ, სტატუსიდან გამომდინარე, საჭიროებს სხვანაირ რეაბილიტაციას, რომელიც არის არაეფექტური სამხარაულის დასკვნით. სტატუსიდან გამომდინარე, არავინ მოგვცემს დანგრევის უფლებას. ეს ბაღიც, სხვა 4 ბაღთან ერთად იყო შეტანილი სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხაში, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული მისი რეაბილიტაცია, იგი ამოღებულ იქნა ამ ნუსხიდან და მის ნაცვლად დაემატა მე-14 ბაღი. ეს თემა ამით არ დასრულებულა, მუნიციპალური განვითარების ფონდი ეძებს თანხებს, რომ მოხდეს ამ ბაღის რეაბილიტაცია. 16 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი ბაღების რეაბილიტაციაზე და აქედან 6 - 7 მილიონი ლარი მარტო ამ ბაღისთვის იყო საჭირო. რაც შეეხება ავტორიზაციას, მე ვთქვი ჩემ გამოსვლაში, რომ ცენტრალური ხელისუფლებიდან მივიღებთ დამატებით თანხებს იმისათვის, რომ

სურსათის უვნებლობის სტანდარტებიდან გამომდინარე, ბაღებს, რომლებსაც არ აქვთ წესრიგში სასადილო, საკუჭნაო მოვიყვანოთ წესრიგში.

ბატონ კობას მინდა ვუთხრა, რომ დაახლოებით, 200-მდე ქალაქია იუნესკოს სივრცეში გაწევრიანებული სხვადასხვა კუთხით: ლიტერატურა, გასტრონომია, მუსიკა და ასე შემდეგ. სწორედ ასეთი ფესტივალების ჩატარება გვაქვს დაგეგმილი და ეს მოგვცემს საშუალებას, რომ კიდევ უფრო მეტი ადამიანი ჩამოვიდეს ქალაქში და მეტმა გაიგოს, რომ ქუთაისი არის იუნესკოს ქალაქი. დაახლოებით 6 - 7 საერთაშორისო დონის ფესტივალი გვაქვს დაგეგმილი იმისათვის, რომ ჩვენი კულტურა კიდევ უფრო წარმოვაჩინოთ.

საპარლამენტო ტერიტორიასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე დაწყებულია სამუშაოები და ის ეხება პარლამენტის მიმდებარედ ადმინისტრაციის შენობის, როგორც ტექნოლოგიური ჰაბის მოწყობას. ამაზე მუშაობს ჩვენი სააგენტო „ჯიტა“ და სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტები. ეს ტერიტორია განიხილება, როგორც ციფრული განვითარების ცენტრი, აქ იქნება განთავსებული ციფრული ტექნოლოგიების მუზეუმი, რომელსაც კავშირი ექნება „კოპერფილდის“ მუზეუმთან. „ჯიტას“ ხელმძღვანელი იყო ვიზიტით პოლონეთში, სადაც შედგა შეთანხმება სწორედ ასეთი სახის მუზეუმის განთავსებაზე.

ნაგავსაყრელის თემა მნიშვნელოვანია, როგორც ნიკეას და სულხან-საბას დასახლების, ისე მთელი ქალაქისთვის. დასასრულს მიუახლოვდა ნაგავსაყრელის გადამუშავების პროცესი  და კიდევ დაემატა მიწის ფენა, იმისათვის, რომ არ მოხდეს სუნის გავრცელება. მინდა გითხრათ, რომ იქ არანაირი ნარჩენების წვა არ მიმდინარეობს. სამწუხაროდ, დაფიქსირდა უკან, რიონის მხარეს, საბურავების წვის ფაქტი, რომელმაც გამოიწვია სუნის გავრცელება და შესაბამისი კომპანია დაჯარიმდა კიდეც.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **ანა კოხრეიძე** (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა): „მოსახლეობის თხოვნით მე ვიყავი ჩასული და ვესაუბრე დირექტორს, რომელმაც მითხრა, რომ გამოყოფილია თანხა, რომლის ნაწილიც დახარჯულია. მე დავინტერესდი თუ ჰქონდათ

მოძებნილი ალტერნატიული ტერიტორია და მივიღე პასუხი, რომ არავის არ უნდა ტერიტორიის მიყიდვა. გამოდის, რომ თანხის ნაწილი დახარჯულია და ტერიტორია არ არის მოძიებული.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „თანხის ნაწილი გახარჯულია იქ არსებული ნარჩენების რეკულტივაციაზე, ასე ეწოდება ნარჩენების გადამუშავებას, ხოლო ალტერნატიული ტერიტორია ნაგავსაყრელისთვის მოძიებულია. დეტალურად დასახელებას გთხოვთ ნუ მომთხოვთ. როდესაც იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, მაშინ განვაცხადებთ. ქალაქის ცენტრალურ უბანში იგეგმება საათობრივი პარკირება, განვიხილავთ ადგილებს და ასე შემდეგ.

რაც შეეხება, „სტაიანშიკებს“, ეს სცდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს. ეს არის ფინანსური პოლიციის თემა. მათ მიერ უნდა მოხდეს როგორც უკანონო შემოსავლის დაფიქსირება. გვქონდა საუბრები და ისინიც შესაბამის საპარლამენტო ცვლილებებს ელოდებიან.

მადლიერების სახლზეც ვიტყვი. ჩვენ ვაპირებთ ამ შენობის პრივატიზაციას, ჩვენი არქიტექტურის სამსახური მუშაობს პროექტზე. შენობა გავა პრივატიზაციაზე და შემოსული თანხა მოხმარდება ახლის აშენებას. თუ შევძელით და მოვიძიეთ ალტერნატიული ფართი, მაშინ ეს იქნება ინვესტორთან მოლაპარაკების საკითხი. შემოსული თანხა სრულად იქნება გამოყენებული ახალი სოციალური სახლის მშენებლობისთვის.

ნაგავმზიდები იქნება მაისში. რამდენიმე მუნიციპალიტეტის ნაგავმზიდია შეძენილი და ჩვენ მიწოდების ვადად სამინისტრომ განგვისაზღვრა მაისი. თბილისიდან ვინათხოვრეთ და არ არის პრობლემა.

ტრანსპორტს რაც შეეხება, ჩვენ გვინდა, რომ ამ ქალაქში მუნიციპალური ტრანსპორტი თავიდან ბოლომდე ემსახურებოდეს სრულიად ქალაქს და ეს არ იყოს კერძო და მუნიციპალური ტრანსპორტის მოქმედების სფერო. იმისათვის, რომ მოვიცვათ მთელი ქალაქი დაახლოებით გვესაჭიროება 40 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. აქ განიხილება როგორც ავტობუსი ისე საშუალო და დიდი ზომის მიკროავტობუსი. იმის

ილუზია არ უნდა შევიქმნათ, რომ ამ რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებას მიმდინარე წელს შევიძენთ. შევეცდებით, რომ რაღაც ნაწილი შევიძინოთ, რადგან არის ადგილები, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი ვერ ახერხებს მისვლას. ეს არის საფიჩხია, ავტოქარხნის გარკვეული უბნები, ნიკეას ქუჩაზეც გვინდა, რომ ტრანსპორტმა მარტო ცენტრალურ გზაზე არ იმოძრაოს. ამაზე ვმუშაობთ აქტიურად.

ხელფასებთან დაკავშირებით მინდა ერთი ციფრი გითხრათ. 2012 წელს მერიაში იყო 532 თანამშრომელი, დღეს ჩვენ ვართ 307. ხელფასის წილი 2012 წელს მთელი ბიუჯეტის 6.7%-ს შეადგენდა, ხოლო დღეს არის 4,3%. ამას ან ვერ იგებენ, ან არ უნდათ გაიგონ. ჩემი გადაწყვეტილება არ არის, რომ გაიზარდოს ჩემი ხელფასი და არც არავისთვის მითხოვია, ეს არის საბიუჯეტო გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო მთავრობამ და ეძლევა ყველა საჯარო მოხელეს.

გუნდი, რომელიც გვყავს წყალბურთში, თანხას არ გადაიხდის, მაგრამ ვისაც უნდა წყალბურთში ვარჯიში თანხაც უნდა გადაიხადოს, მხოლოდ მას შემდეგ რაც გახდება გუნდის წევრი აღარ გადაიხდის. დღეს, ჩვენს აუზში 3000-მდე ბავშვი ვარჯიშობს და ეწევა ჯანსაღი ცხოვრების წესს. კალათბურთის თემასთან დაკავშირებით, ჩვენც ვიცით, რომ ის დარბაზი სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ რომ არ გაგვეკეთებია, საერთოდ დარბაზის გარეშე დარჩებოდნენ ბავშვები. ასევე, გავაკეთებთ იმ დარბაზს, სადაც აქამდე ვარჯიშობდნენ.

რაც შეეხება „ოქროს ჩარდახს“, ამ მართლაც უნიკალურ შენობას. დღეს, როდესაც საუბარია საზოგადოების ჩართულობაზე, ოპოზიციას მივმართავ კითხვით, საზოგადოების რომელი წევრი უნდა ჩართულიყო და ვისი აზრი იქნებოდა კომპეტენტური ამ ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროცესში. 8 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა „ოქროს ჩარდახის“ რეაბილიტაცია, ყველამ კარგად იცოდა და თუ ვინმეს სურვილი ჰქონდა შეეძლო ჩართულიყო ამ პროცესში და მიეღო მონაწილეობა. რატომ არის იმ 4 ექსპერტის აზრი, რომელიც დღეს გამოდის ტელევიზიით, უფრო წონადი, ვიდრე იმ 8 ექსპერტის, რომელმაც დაუჭირა მხარი. მადლობა ბატონ ემზარს, მაგრამ მისი ნაშენები „ოქროს ჩარდახი“ ვერ დარჩება ორიგინალად. ქუთაისის

მუნიციპალიტეტის არცერთ სტრუქტურულ ერთეულს არ აქვს უფლება იმის, რომ ასეთი სახის პროექტი განიხილოს. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის პროექტი უნდა შეთანხმდეს სააგენტოსთან. ჩვენ ფული მოვიძიეთ, ტენდერი გამოვაცხადეთ. 8 თვის განმავლობაში მუშავდებოდა პროექტი. თუ ვინმეს ჰქონდა სურვილი, შეეძლო მისულიყო, დაეწერა, ეთქვა, მოეწყო შეხვედრა, მაგრამ არა, გამოდის, რომ დაწყებული შენობა უნდა მივატოვოთ? თუ გაქვთ სურვილი, მე მაქვს და გაჩვენებთ შუალედურ დასკვნას, რომელიც მოამზადა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ, სადაც თითოეული რეაბილიტაციის ნაბიჯი შეესაბამება იმ პროექტს, რომელიც არის ხელმოწერილი ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიერ.

თეთრ ხიდზეც ვიტყვი. ევროპაში ვინც ყოფილხართ არ გინახავთ რკინის ხიდი? სხვაგან ხიდი არ იყინება? თუკი ვინმე დააზიანებს, არის ვიდეოკამერები და ჩანაწერი განგებ როგორ აზიანებენ შუშას, როგორ გადაიარეს მოპედით, რა ვქნათ? ჩემ სხდომაზე შემოსვლას რაც შეეხება. შემოვდივარ როცა საჭიროა ჩემი შემოსვლა.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიშის შესახებ **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

**განკარგულების პროექტის თაობაზე, საკრებულოს წევრების მიერ, მოსაზრებები არ გამოთქმულა.**

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 18-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გ.კილაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, ნ.ბიბილეიშვილი, დ.ბახტაძე, თ.მესხი, გ.შუშანია, ლ.შალამბერიძე, ა.კოხრეიძე, ხ.არველაძე, მ.რიჟამაძე, მ.სიმონიძე, ე.არჩაია, კ.გურული, დ.ფხაკაძე.

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს განკარგულება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“ **განკარგულება № 267** ოქმს თან ერთვის)

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27-ე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს 27-ე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27-ე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, c=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 11:52:17 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, ნ.გუგავასა და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.